სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომელთა ტრენინგები

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ერთობლივი პროექტის ფარგლებში 2014 წლის 4 ივნისს განხორციელდა სასწავლო პროგრამა სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომლებისათვის, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში საარჩევნო პროცესების ორგანიზების საკითხებთან დაკავშირებით.

პროგრამის ფარგლებში ტრენინგის ჩატარება უზრუნველყო ცესკოს სწავლების ცენტრისა და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის წარმომადგენლებმა.

ტრენინგის მონაწილეებს მიესალმნენ ცესკოს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი შარაბიძე, ცესკოს სწავლების ცენტრის დირექტორი ნათია ზაალიშვილი და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის დირექტორი მაია ხასია, რომლებმაც ყურადღება გაამახვილეს აღნიშნული სასწავლო პროგრამის მნიშვნელობაზე ხმის მიცემის უფლების მქონე პატიმრების მიერ საარჩევნო უფლების სრულფასოვნად რეალიზების ხელშეწყობის კუთხით.

ტრენინგის ფარგლებში მონაწილეებს მიეწოდათ ინფორმაცია შემდეგ ძირითად საკითხებზე: პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში საარჩევნო პროცესების ორგანიზება, სააგიტაციო მასალების განთავსებისა და ხმის მიცემის უფლების მქონე პატიმრების ინფორმირების წესი, პატიმრების მიერ ხმის მიცემის პროცედურები.

მონაწილეებს გადაეცათ ცესკოს სწავლების ცენტრისა და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის მიერ მომზადებული დამხმარე სახელმძღვანელოები.

ხმის მიცემის უფლების მქონე პატიმრების ინფორმირებულობის ამაღლების მიზნით მომზადდა შესაბამისი საინფორმაციო ხასიათის ბუკლეტები, რომლებიც გადაეცათ სასჯელაღსრულების დაწესებულებების ადმინისტრაციებს მათი გავრცელების უზრუნველსაყოფად.